საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურჯი

გურჯი, ქართველის აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინი არაბულსპარსულ კულტურულ სამყაროში. „გორჯი" (სპარსულად), „ქურჯი" და „გურჯი" (არაბულად) ნიშნავს ქართველს, ხოლო ტოპონიმი „გორჯესტან" (სპარს.), „გურჯისტან" (არაბ.) _ საქართველოს. სპარს. „გორგ" ნიშნავს მგელს (საკულტო-რიტუალური ცხოველი უძველესი დროიდან). აქედან მომდინარეობს მეფე ვახტანგ გორგასლის მეტსახელი - გორგასარ (მგლისთავიანი, ან მგლების მეთაური).

ეს ტერმინი პირველად ფიქსირდება სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, ისტ. ქართული პროვინციის გუგარეთის სახელწოდებაში, რ-საც ჰეროდოტე „ჰ(გ)ირკანიის" ფორმით იხსენიებს. ძვ. სპარსულ წყაროებში კი „ვრკანა" („მგელთა ქვეყანა"; აქედან მოდის სომხური „ვირკ" და „ვრასტან") ფორმით გვხვდება. შემდგომში ბერძნული „ჰ(გ)ირკანია" სპარსულ ენაში ტრანსფორმირდა „გორგან"- ად, არაბულში – „ჯურჯან"-ად, სირიულ დიალექტში კი – „გურზ", „გურზან"-ად. აქედან წარმოიშვა რუსული ტერმ. „გრუზინი" („გრუზია"), ოსური „გიურძი" („გიურძისტონ").

თავდაპირველად ეს იყო აღმ. საქართველოს (ივერიის) აღმნიშვნელი ტერმინი, მოგვიანებით კი – მთელი ისტ. საქართველოსი.

რაც შეეხება ევროპაში მიღებულ ტერმინებს – გეორგია, ჯორჯია - სავარაუდოდ, ორივე იმავე სპარსულ-არაბულიდან არის წარმოქმნილი და მიწათმოქმედს ნიშნავს. ძვ. ეგვიპტეშიც „გრგ" ძირის შემცველი სიტყვები მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული.

„გ-ის" ეტიმოლოგიით იყვნენ დაინტერესებული მ. ბროსე, ი. მარკვარტი, ა. მარიკი, ივ. ჯავახიშვილი, ლ. მელიქსეთბეგი, ი. აბულაძე, გ. დეეტერსი, ვ. მინორსკი, გ. წერეთელი და სხვ.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე იუსტ., ტერმინ „გურჯის" ეტიმოლოგიისათვის, აკად. ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1934; П а й ч а д з е Г. Г., Название Грузии в русских письменных исторических источниках, Тб., 1989.

წ. ბაწაში